2. UNDP-ს მხრიდან დახმარების გაწევა მოხდება ამ ხელშეკრულების მიხედვით მხოლოდ მთავრობის თხოვნის საპასუხოდ, რომელსაც დაეთანხმება (მოიწონებს) UNDP. მსგავსი დახმარება ხელმისაწვდომი გახდება მთავრობის ან მთავრობის მიერ დანიშნული უწყებისათვის და დაინიშნება და გაიწევა UNDP-ს კომპეტენტური ორგანოების შესაბამისი და მისაღები რეზოლუციებისა და

გადაწყვეტილებების თანახმად და დამკიდებულია UNDP-ს განკარგულებაში მყოფ ცონლებზე.

მუხლი II

დახმარების ურთიერთობი

1. UNDP-ს მიერ ამ ხელშეკრულების მიხედვით მთავრობისათვის გაწეული დახმარება შეიხლება შეიცვდეს:

(ა) მრჩეველთა და კონსულტანტთა სამსახურს, მათ შორის UNDP-სა და შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოს მიერ შერჩეულ და მათ წინაშე პასუხისმგებელ საკონსულტაციო ფირმებსა და ორგანიზაციებს;

(ბ) აღმასრულებელი ორგანოს მიერ შერჩეული ტექნიკური ექსპერტების სამსახურს, რომლებმაც უნდა შეასრულონ სამოქმედო, აღმასრულებელი და ძლინისტრაციული ხასიათის ფუნქციები, როგორც მთავრობის სამსახურში მყოფმა მოქალაქეებმა ან ამ ხელშეკრულების I მუხლის 2 პარაგრაფის მიხედვით მთავრობის მიერ დანიშნული უწყებების თანამშრომლებმა;

(გ) გაეროს მოხალისეთა პროგრამის წევრთა (შემდგომში წოდებული მოხალისებად) სამსახურს;

(დ) მოწყობილობასა და აღჭურვილობას, რომელიც მზა სახით ან მოიპოვება საქართველოს რესპუბლიკაში (შემდგომში წოდებული ქვეყანად);

(ე) სემინარებს, სტაუირების პროგრამებს, სადემონსტრაციო პროექტებს, ექსპერტთა სამუშაო ჯგუფებს და მონათესავე საქმიანობას;

(ვ) სტაპენდიებს ან სხვა მსგავს დაფინანსებას, რომელიც საშუალებას მისცემს მთავრობის ან შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოს მიერ შერჩეულ კანდიდატებს, ისწავლონ ან გაიარონ სტაუირება; და

(ზ) ნებისმიერ სხვა სახის დახმარებას, რომელზედაც შეთანხმდებიან მთავრობა და UNDP.

2. დახმარების შესახებ თხოვნას მთავრობა UNDP-ს წარუდგენს ქვეყანაში UNDP-ს მუდმივი წარმომადგენლის მეშვეობით (იხ. ამ მუხლის 4(ა) პარაგრაფი), და ამგვარი თხოვნებისათვის UNDP-ს მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად. ამ მოთხოვნის შესაფასებლად მთავრობა უზრუნველყოფს UNDP-ს ფუფულგვარი დახმარებითა და შესაფერისი ინფორმაციით, მათ შორის გამოხატავს რა თავის გადაწყვეტილებას, ბოლომდე მიიღვინოს ინვესტირებაზე ორიენტირებული პროექტები.

3. UNDP მთავრობას ეხმარება პირდაპირ, ანუ იმგვარი საგარეო დახმარებით, ჩოგორსაც ის საჭიროდ ჩათვლის, ან აღმასრულებელი ორგანოს საშუალებით, რომლის უპირველესი ამოცანაა პროექტისათვის UNDP-ს დახმარების განხორციელება და რომელსაც ამ მიზნით ენიჭება დამოუკიდებელი კონტრაქტორის სტატუსი. იმ შემთხვევაში, როდესაც UNDP უშუალოდ მთავრობას უწევს დახმარებას, წინამდებარე შეთანხმებაში აღმასრულებელ ორგანოს ყოველი ხსენება უნდა გადავიდეს UNDP-ზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კონტრაქტთან აშკარა შეუსაბამობაა.

4. (ა) UNDP-ს შეიძლება ქვეყანაში პქონდეს მუდმივი წარმომადგენლობა, რომელსაც სათავეში უდგას მუდმივი წარმომადგენელი, რომელიც წარმომადგენს მას ქვეყანაში და შესარულებსს პროგრამასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე მთავრობასთან კომუნიკაციის მთავარი არხის ფუნქციას. მუდმივი წარმომადგენელი UNDP-ს აღმინისტრატორის მიერ აღჭურვილი იქნება სრული პასუხისმგებლობითა და უმაღლესი ავტორიტეტით ქვეყანაში UNDP-ის პროგრამის ყველა ასპექტის შესასრულებლად. მუდმივ წარმომადგენლს პროგრამის სახელით კავშირი აქვს სათანადო ორგანოებთან მთავრობაში, მათ შორის საგარეო დახმარების მაკორდინირებელ სამთავრობო სააგენტოსთან და მოახსენებს მთავრობას UNDP-სა და გაეროს სხვა შესაბამისი პროგრამების პოლიტიკის, კრიტერიუმებისა და პროცედურების შესახებ. იგი მოთხოვნისამებრ დაეხმარება მთავრობას, მოამზადოს ქვეყნისათვის UNDP-ს პროგრამისა და პროექტისათვის გათვალისწინებული მოთხოვნები, აგრეთვე წინადადებები ქვეყნისათვის განკუთვნილ პროგრამებსა და პროექტებში ცვლილებების თაობაზე, უზრუნველყოფის UNDP-ს მიერ სხვადასხვა აღმასრულებელი ორგანოსა თუ მისი საკუთარი კონსულტანტების მეშვეობით განხორციელებული დახმარების სათანადო კოორდინაციას, მოთხოვნისამებრ დაეხმარება მთავრობას UNDP-ის საქმიანობის ეროვნული, ორმხრივი და მრავალმხრივი პროგრამებთან კოორდინირებაში ქვეყნის შიგნით, აგრეთვე განახორციელებს სხვა მსგავს ფუნქციებს, რომლებიც შეიძლება დაავალოს აღმინისტრატორმა ან რომელიმე აღმასრულებელმა ორგანომ.

(ბ) UNDP-ს მისიან ქვეყნაში ეყოლება ისეთი პერსონალი, როგორსაც ის საჭიროდ ჩათვლის თავისი სათანადო ფუნქციონირებისათვის. დრო და დრო UNDP მთავრობას შეატყობინებს წევრების სახელებს, მათი ლაბორატორიაში, მისიებისა და ამ პიროვნებების სტატუსში ცვლილებების შესახებ.

მუხლი III

პროექტების განხორციელება

1. მთავრობა ინარჩუნებს პასუხისმგებლობას UNDP-ს ხელშეწყობით ჩატარებულ განვითარების პროექტებსა და მათი მიზნების განხორციელებაზე, როგორც ეს აღწერილია სათანადო საპროექტო დოკუმენტებში და განახორციელებს ამგვარი პროექტების შესაბამის ნაწილებს, როგორც ეს შეიძლება მოცემული იყოს წინამდებარე ხელშეკრულებისა და მსგავსი საპროექტო დოკუმენტების პირობებში. UNDP ვალდებულებას იღებს დამატებით ხელი შეუწყოს მთავრობის მონაწილეობას მსგავს პროექტებში, ეხმარება რა მთავრობას ამ ხელშეკრულებისა

და მსგავსი საპროექტო დოკუმენტების შემაღენლი სამუშაო გეგმის უსულებაში, აგრეთვე ეხმარება რა მთავრობას ინვესტიციების ბოლომდე განხორციელებაში. მთავრობა მოახსენებს UNDP-ს მთავრობასთან თანამშრომელი იმ სააგენტოს შესახებ, რომელიც უშუალოდ პასუხისმგებელია მთავრობის მონაწილეობაზე UNDP-ს დახმარებით ჩატარებულ ყოველ პროექტში. მთავრობის პროექტებზე მისი სრული პასუხისმგებლობის შეზღუდვის გარეშე მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ აღმასრულებელი ორგანო აიღებს ძირითად პასუხისმგებლობას პროექტის შესრულებაზე თანამშრომელი სააგენტოს თანხმობითა

და კონსულტაციით, ამ საკითხთან დაკავშირებული ყველა შეთანხმება კი ჩამოყალიბდება საპროექტო დოკუმენტის შემაღენლი პროექტის სამუშაო გეგმაში, რომელშიც აგრეთვე მოცემული იქნება საჭიროების შემთხვევაში პროექტის განხორციელების პროცესში პასუხისმგებლობის მთავრობის, ან მთავრობის მიერ დანიშნული უწყებისათვის გადაცემის მექანიზმი.

2. მთავრობის თანხმობა უმთავრეს ვალდებულებებზე, რომლებიც მხარეთა მიერ ჩაითვლება აუცილებლად ან შესაფერისად კონკრეტულ პროექტისათვის UNDP-ს მიერ დახმარების გასაწევად, იქნება ამ პროექტისადმი UNDP-სა და აღმასრულებელი ორგანოს პასუხისმგებლობათა განხორციელების პირობა. იმ შემთხვევაში, თუ ამ დახმარების გაწევა დაიწყება ამგვარ უმთავრესი პასუხისმგებლობათა შესრულებამდე, იგი შეიძლება შეწყდეს ან დროებით შეჩერდეს შეტყობინების გარეშე და UNDP-ს შეხედულებისამებრ.

3. ნებისმიერი შეთანხმება მთავრობასა და აღმასრულებელ ორგანოს შორის UNDP-ს დახმარებით ჩატარებული პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით, აგრეთვე მთავრობასა და ტექნიკურ ექსპერტს შორის, ხდება წინამდებარე ხელშეკრულებაში მოცემული პირობების შესაბამისად.

4. საჭიროების მიხედვით და აღმასრულებელ ორგანოსთან კონსულტაციით თანამშრომელი სააგენტო დანიშნავს სრულშტატიან დირექტორს თითოეული პროექტისათვის, რომლებიც შეასრულებენ აღმასრულებელი ორგანოს მიერ მისთვის განკუთვნილ ფუნქციებს. აღმასრულებელი ორგანო საჭიროების მიხედვით და მთავრობასთან კონსულტაციით დანიშნავს მთავარ ტექნიკურ მრჩეველს ან პროექტის კოორდინატორს, რომელიც აღმასრულებელი ორგანოს წინაშე პასუხისმგებელია პროექტში აღმასრულებელი ორგანოს პროექტის დონეზე მონაწილეობისათვის. ის უხელმძღვანელებს და კოორდინირებას გაუწევს ექსპერტთა და აღმასრულებელი ორგანოს სხვა პერსონალის საქმიანობას და პასუხისმგებელი იქნება მთავრობაში შესაბამისი სპეციალისტების აღგილზე წვრთნისათვის. იგი პასუხს ავებს UNDP-ს მიერ დაფინანსებული ყველა წამოწყების მართვასა და გამოყენებაზე, პროექტისათვის გამოყოფილი აღჭურვილობის ჩათვლით.

5. თავის მოვალეობათა შესრულების პროცესში ექსპერტი მრჩევლები, კონსულტანტები და მოხალისები იმოქმედებენ მჭიდრო კონსულტაციაში მთავრობასთან და მთავრობის მიერ დანიშნულ სხვა პიროვნებებთან ან უწყებებთან და შეასრულებენ მთავრობის იმ ინსტრუქციებს, რომლებიც შეესაბამება მათ ვალდებულებათა ხასიათს და გასაწევი დახმარების ხასიათს, და რომლებზეც ურთიერთ თანხმობას განაცხადებენ UNDP, დაინტერესებული

აღმასრულებელი ორგანო და მთავრობა. ტექნიკური ექსპერტები პასუხს აგებენ ამორჩილებიან მხოლოდ მთავრობას ან იმ უწყებას, რომელზეც ისინი იქნებიან მიმაგრებული, მაგრამ მათ არ მოეთხოვებათ ისეთი ფუნქციების შესრულება, რომლებიც შეუთავსებელია მათ საერთაშორისო სტატუსთან ან UNDP-ს ან აღმასრულებელი ორგანოს მიზნებთან. მთავრობა პასუხისმგებლობას იღებს, რომ თითოეული ტექნიკური ექსპერტის სამსახურის დაწყების თარიღი დაემთხვეს შესაბამის აღმასრულებელ ორგანოსთან მისი კონტრაქტის ძალაში შესვლის თარიღს.

6. აღმასრულებელი ორგანო შეარჩევს სავარაუდო სტიპენდიატებს. ეს სტიპენდიები დაინიშნება აღმასრულებელი ორგანოსათვის სტიპენდიების გაცემის ჩვეული პოლიტიკისა და პრაქტიკის თანახმად.

7. ტექნიკური და სხვა მოწყობილობა, მასალები, აღჭურვილობა და სხვა საკუთრება, დაფინანსებული ან მოწოდებული UNDP-ს მიერ, იქნება UNDP-ს კუთვნილება მანამ, სანამ და თუკი ეს კუთვნილება გადავა მთავრობაზე ან მის მიერ დასახელებულ უწყებაზე, მთავრობასა და UNDP-ს შორის ურთიერთ-შეთანხმებული პირობებისა და ვადების მიხედვით.

8. საპატენტო უფლებები, საავტორო უფლებები, აგრეთვე სხვა მსგავსი უფლებები ნებისმიერ აღმოჩენასა თუ სამუშაოზე, რომელიც იქნება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული UNDP-ს დახმარების შეღები, იქნება UNDP-ს კუთვნილება მიუხედავად ამისა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში სხვაგვარად შეთანხმდებიან, მთავრობას უნდა ჰქონდეს უფლება, ქვეყნის ფარგლებში, გამოიყენოს ამ აღმოჩენათა ან სამუშაოთაგან ნებისმიერი, საავტორო წილის ან სხვა მსგავსი გადასახადის გადახდის გარეშე.

გუნდი IV

ინფორმაცია პროექტების გასახვა

1. მთავრობა უზრუნველყოფს UNDP-ს იმ სათანადო ანგარიშებით, რუკებით, ფინანსური ანგარიშებით, ოქმებით, ბიულეტენებით, დოკუმენტებითა და სხვა ინფორმაციით, რომელიც მან შეიძლება მოითხოვოს UNDP-ს დახმარებით ჩატარებულ ნებისმიერ პროექტთან, მის განხორციელებასა ან გაგრძელებულ და საფუძვლიანობასთან დაკავშირებით ან ამ ხელშეკრულების ან საპროექტო დოკუმენტით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობებზე მთავრობის თანხმობასთან დაკავშირებით.

2. UNDP პასუხისმგებლობას იღებს, რომ მთავრობა რეგულარულად ინფორმირებული იქნება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დახმარებაში მისი პროგრესის შესახებ. თითოეულ მხარეს ექნება უფლება, ნებისმიერ დროს

6

თვალყური ადევნოს პროგრესს UNDP-ს დახმარებით მიმდინარე პროექტების განხორციელებაში.

3. UNDP-ს პროექტის შესრულების შემდეგ, მთავრობა UNDP-ს მოთხოვნით მიაწვდის მას ინფორმაციას ამ პროექტიდან მიღებული დადებითი შედეგებისა და მისი მიზნების შემდგომი განხორციელებისათვის ჩატარებული საქმიანობის შესახებ, მისი ან UNDP-ს დახმარების შეფასებისათვის საჭირო ან შესაფერისი ინფორმაციის ჩათვლით, და ამ მიზნით ეჭნება კონსულტაციები UNDP-სთან და დაკვირვების ნებას დართავს UNDP-ს.

4. ნებისმიერ ინფორმაციასა თუ შასალას, რომელიც მთავრობამ უწდა მიაწოდოს UNDP-ს ამ ხელშეკრულების თანახმად, მთავრობა მიაწოდებს აღმასრულებელ ორგანოს შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოს მოთხოვნისთანავე.

5. მხარეები საჭიროებისამებრ ერთმანეთს მოეთათბირებიან, UNDP-ს დახმარებით ჩატარებული ნებისმიერი პროექტისა თუ მისგან მიღებული დადებითი შედეგების შესახებ ინფორმაციის პუბლიკაციაზე. თუმცა, UNDP-ზ შეიძლება მიაწოდოს პოტენციურ ინვესტორებს ინფორმაცია ინვესტიციებზე ორიენტირებული რომელიმე პროექტის შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა და მანამ, სანამ მთავრობა წერილობით არ მოსთხოვს UNDP-ს, შეზღუდოს ამგვარ პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცემა.

მუხლი V

მთავრობის მონაცილეობა და მისი გვლილი პროცესი ტანირივისაშვილი

1. იმისათვის, რომ შესრულდეს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთავრობის პასუხისმგებლობა UNDP-ს დახმარებით ჩატარებული პროექტების განხორციელებაში მონაწილეობასა და თანამშრომლობაზე, მთავრობას შეაქვს თავისი წვლილი, რომლის მოცულობა განისაზღვრება სათანადო საპროექტო დოკუმენტებით და რომელიც შეიძლება მოიცავდეს:

(ა) შესატყვის ადგილობრივ პროფესიონალურ და სხვა სამსახურებს, ტექნიკურ ექსპერტთა შესატყვის ეროვნული კადრებს;

(ბ) მიწას, შენობებს და კვალიფიკაციის ამაღლების, აგრეთვე სხვა სახის საშუალებებს, რომლებიც ხელმისაწვდომია ან წარმოებულია ქვეყნის შიგნით; და

(გ) მოწყობილობას, მასალებს და აღჭურვილობას, რომლებიც ხელმისაწვდომია ან წარმოებულია ქვეყნის შიგნით.

2. იმ შემთხვევაში, როცა მოწყობილობით უზრუნველყოფა შედის მთავრობისაღმი UNDP-ს დახმარებაში, უკანასკნელი იხდის ამ მოწყობილობის საბაჟო ქლირუნსის, შემოსვლის პორტიდან პროექტის ზონაში მისი ტრანსპორტირების, აგრეთვე დაუგეგმვის გადაზიდვისა და შენახვის და სხვა

ამგვარ დანახარჯებს, პროექტის ზონაში მისი მიტანის შემდგომი დაზღვევისა და მისი დამონტაჟებისა და მოვლის ხარჯებს.

3. მთავრობა აგრეთვე უხდის ხელფასებს სტაურებს და სტიპენდიებს სტიპენდიატებს მთელი სასტიპენდიო პერიოდის განმავლობაში.

4. თუ საპროექტო დოკუმენტი ამას ითვალისწინებს, მთავრობა უხდის ან აგვარებს UNDP-სათვის ან აღმასრულებელი ორგანოსათვის საჭირო თანხის გადახდას იმ შოცულობით, რომელიც განსაზღვრულია საპროექტო დოკუმენტის პროექტის ბიუჯეტში, ამ მუხლის პირველ პარაგრაფში ჩამოთვლილი პუნქტების რეალიზაციისათვის, რის შემდეგაც აღმასრულებელი ორგანო მოიპოვებს საჭირო ნივთებს და ყოველწლიურად წარუდგენს ანგარიშს UNDP-ს ამგვარი ხარჯების შესახებ.

5. წინა პარაგრაფში გათვალისწინებული UNDP-სათვის გადასახდელი ფულადი თანხები დაირიცხება გაეროს გენერალური მდივნის მიერ ამ მიზნით დაწესებულ ანგარიშზე და UNDP-ს სათანადო ფინანსური წესების მიხედვით.

6. იმ საგანთა საფასური, რომლებიც შეადგენენ მთავრობის წვლილს პროექტის განხორციელებაში, აგრეთვე ნებისმიერი თანხები, რომლებსაც მთავრობა იხდის ამ შუხლის თანახმად, როგორც ეს ჩამოყალიბებულია პროექტის ბიუჯეტში, შეადგენს სავარაულო თანხებს, რომელიც დაეფუძნება ამგვარი პროექტის ბიუჯეტის მომზადების დროს ხელმისაწვდომ ყველაზე ზუსტ ინფორმაციას. ამ თანხებში მოსალოდნელია ცვლილებები, თუ საჭირო იქნება შემდგომში შეძენილი ნივთების რეალური ფასის ჩვენება.

7. მთავრობაშ საჭიროებისამებრ თითოეული პროექტი უნდა აღნიშნოს შესაფერისი ნიშნებით, რომლებიც მიანიშნებენ, რომ ამ პროექტის განხორციელებას ეხმარება UNDP და აღმასრულებელი ორგანიზაცია.

გვერდი 4

ତେଣୁଥରୁମାର୍ବି ଶାକ୍ତରୂପୀଙ୍କ ଲଗନ୍ଧରୂପୀଙ୍କ ଦୟ କ୍ଷେତ୍ର ପ୍ରତିବନ୍ଧି.
କର୍ମୋଦ୍ଧର୍ମତାତତ୍ତ୍ଵରେ ଅନ୍ତରାଳୀଶ୍ଵରରୁକ୍ତି କରୁଥିବା ପାଠୀଲ୍ଲକରିବା ଯାହାକୁତୀର୍ତ୍ତି.

1. გარდა V მუხლში აღნიშნული წვლილისა, UNDP-საღმი მთავრობის დახმარებაში შეიძლება შევიდეს ქვემოთ ჩამოთვლილი აღგილობრივი ხარჯებისა და მომსახურების ღირებულების დაფარვა, იმ რაოდენობით, რომელიც ჩამოყალიბებულია შესაბამის საპროექტო დოკუმენტში:

(a) ქვეყანაში მიმღინარე პროექტებზე დანიშნულ კონსულტანტთა და ექსპერტ მრჩეველთა ცხოვრების ღირებულება;

- (ბ) ადგილობრივი აღმინისტრატიული და საკანცელარიო სამსახური, ადგილობრივი მდივნების, თარჯიშან-მთარგმნელებისა და სხვა მსგავსი სამსახურის ჩათვლით;
- (გ) პერსონალის ქვეყნის შიგნით ტრანსპორტირება;
- (დ) ოფიციალური მიზნებით გამოყენებული ფოსტა და ტელეკომუნიკაციები.

2. მთავრობა აგრეთვე უხდის თითოეულ ტექნიკურ ექსპერტს უშუალოდ იმ ხელფასს, სუბსიდიებსა და სხვა მსგავს ანაზღაურებას, რომელსაც გადაუხდიდა ადგილობრივ პერსონალის წარმომადგენელს, თუ იგი დაინიშნებოდა აღნიშნულ პოსტზე. ტექნიკურ ექსპერტს მთავრობა აძლევს წლიურ შეკვეთებას და ავალმყოფობის ფურცელს, როგორც შესაბამისი აღმასრულებელი ორგანო მისცემდა თავის საკუთარ თანამშრომლებს, და აგვარებს ყველაფერს, რათა მან შეძლოს, გამოიყენოს სამშობლოში წასასვლელი შეკვეთება, რომელიც მას ეკუთვნის შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოსთან სამსახურის პირობების თანახმად. იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა შეწყვეტს ექსპერტის სამსახურს იმ პირობებში, რომლებიც დაავალდებულებს აღმასრულებელ ორგანოს, მისცეს ექსპერტს კომპენსაცია მასთან დადებული კონტრაქტის თანახმად, მთავრობა შეიტანს თავის წვლილს ამ თანხაში სეპარაციის კომპენსაციის სახით, იმ რაოდენობით, რომელსაც გადაუხდიდნენ ადგილობრივ სამოქალაქო მოსამსახურეს ან შესაბამისი რანგის თანამშრომელს, რომლის სამსახური დამთავრდებოდა მსგავს პირობებში.

3. მთავრობა ვალდებულებას იღებს ასეთივე სახით უზრუნველყოს შემდეგი სახის ადგილობრივი მომსახურება და დახმარება:

- (ა) საჭირო სივრცე ოფისისათვის, და სხვა ნაგებობები;
- (ბ) სამედიცინო მომსახურება საერთაშორისო პერსონალისათვის, რომელიც შეესაბამება ადგილობრივი სამოქალაქო მოსამსახურეებისათვის გათვალისწინებულ მომსახურებას;
- (გ) მარტივი, მაგრამ კეთილმოწყობილი საცხოვრებელი მოხალისეებისათვის;
- (დ) დაეჭმაროს საერთაშორისო პერსონალს შესაფერისი საცხოვრებელის პოვნაში და უზრუნველყოს ტექნიკური ექსპერტები მსგავსი საცხოვრებლით, იმავე პირობებით, რომლებიც გათვალისწინებულია შესაბამისი რანგის ადგილობრივი სამოქალაქო მოსამსახურეებისათვის.

4. მთავრობას აგრეთვე შეაქვს წვლილი UNDP-ის მისიის შენახვაზე გაწეულ ხარჯებში, უხდის რა UNDP-ს წლიურად ორივე მხარის მიერ შეთანხმებულ საერთო თანხას შემდეგი ხარჯების დასაფარდ:

- (ა) შესაფერისი ოფისი მოწყობილობითა, და აღჭურვილობით, რომელიც შეძლებს შეასრულოს ქვეყნაში UNDP-ის ადგილობრივი შტაბ-ბინის ფუნქცია;
- (ბ) შესაფერისი ადგილობრივი სამდივნო და კანცელარიული დახმარება, თარჯიშნები, მთარგმნელები და მსგავსი დახმარება;
- (გ) ქვეჭის შიგნით მუდმივი წარმომადგენლისა და მისი პერსონალის ოფიციალური მიზნებით ტრანსპორტირება;

(გ) საფოსტო და სატელეკომუნიკაციო სამსახური; და

(დ) მუდმივი წარმომადგენლისა და მისი პერსონალის ტრანსპორტირება ქვეშის ფარგლებში ოფიციალური სტატუსით მოგზაურობისას.

5. მთავრობას შეუძლია ამავე სახით უზრუნველყოს მე-4 პარგრაფში მოყვანილი მომსახურება, გარდა (ბ) და (ე) პუნქტებისა;

6. ამ მუხლით გათვალისწინებულ ფულად თანხებს, გარდა მე-2 პარაგრაფში აღნიშნულისა, გადაიხდის მთავრობა და გაუძლვება UNDP-ს V მუხლის მე-5 პარაგრაფის თანახმად.

მუხლი VII

სხვა წარმოშობის დანართებასთან დაკავშირებით

იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განხორციელებისათვის საჭირო დახმარებას რომელიმე მხარე სხვა წყაროებიდან მიიღებს, მხარეები მოითათბირებენ ერთმანეთში და აღმასრულებელ ორგანოსთან, მთავრობის მიერ ყველა წყაროდან მიღებული დამარების ეფექტური კოორდინირებისა და გამოყენების მიზნით. მთავრობის ვალდებულებები არ შეიცვლება, მიუხედავად ნებისმიერი მოლაპარაკებისა პროექტის შესრულებაზე მასთან თანამშრომელ სხვა უწყებასთან.

მუხლი VIII

დანართების გამოყენება

მთავრობა ყველა ღონეს იხმარს, რათა საუკეთესო სახით გამოიყენოს UNDP-ს მიერ გაწვლი დახმარება და დანიშნულებისამებრ გამოიყენებს ამ დახმარებას. ამ უკანასკნელის ზოგადი ხასიათის შეუზღუდავად, მთავრობა ამ მიზნით განახორციელებს საპროექტო დოკუმენტით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

გუნდი IX

პრივილეგიები და იმუნიტეტები

1. გაეროსა და მისი ორგანოების მიმართ, მათ შორის UNDP-სა და UNDP-ს აღმასრულებელი ორგანოების ფუნქციების შემსრულებელი გაეროს დამხმარე თანამდებობის, შათი საკუთრების, ფონდებისა და ქონების, აგრეთვე შათ ოფიციალური პირების მიმართ, მათ შორის მუდმივი წარმომადგენლისა და ქვეყანაში UNDP-ს მისის სხვა წევრების მიმართ, მთავრობა გამოიყენებს პრივილეგიებსა და იმუნიტეტებზე გაეროს კონვენციის პირობებს.
2. თითოეული სპეციალიზებული სააგენტოს მიმართ, რომელიც ასრულებს აღმასრულებელი ორგანოს ფუნქციებს, მისი საკუთრების, ფონდებისა და ქონების, აგრეთვე მისი ოფიციალური პირების მიმართ მთავრობა გამოიყენებს სპეციალიზებული სააგენტოების პრივილეგიებსა და იმუნიტეტებზე კონვენციის პირობებს, მათ შორის ამ კონვენციის ყველა დანართს, რომელიც შეესაბამება ამგვარ სპეციალიზებულ სააგენტოს. იმ შემთხვევაში, თუ ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო (IAEA) მოქმედებს, როგორც აღმასრულებელი სააგენტო, მისი საკუთრების, ფონდებისა და ქონების, აგრეთვე მისი ოფიციალური პირებისა და ექსპერტების მიმართ მთავრობა გამოიყენებს ხელშეკრულებას IAEA-ის პრივილეგიებსა და იმუნიტეტებზე.
3. ქვეყანაში UNDP-ის მისის წევრებს ენიჭებათ დამატებითი პრივილეგიები და იმუნიტეტები, რომლებიც მისის დასჭირდება მისი ფუნქციების ეფექტური შესრულებისათვის.
4. (ა) გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები შეთანხმდებიან სპეციფიურ პროექტებთან დაკავშირებულ საპროექტო დოკუმენტებში, ყველა პირებს, მთავრობის მიერ აღგილობრივად დაქირავებული პერსონალის გარდა, რომლებიც მოქმედებენ UNDP-ს, სპეციალიზებული სააგენტოს ან IAEA-ს სახელით და არ ეხებათ ზემოთ მოყვანილი პარაგრაფები 1 და 2, მთავრობა ანიჭებს იგივე პრივილეგიებსა და იმუნიტეტებს, როგორც გაეროს, შესაბამისი სპეციალიზებული სააგენტოსა და IAEA-ს ოფიციალურ პირებს, გაეროს ან სპეციალიზებული სააგენტოების პრივილეგიებსა და იმუნიტეტებზე კონვენციის მე-18, 19 და 20 ნაწილების ან IAEA-ს პრივილეგიებსა და იმუნიტეტებზე ხელშეკრულების თანახმად.

(ბ) ამ შეთანხმების წინა ნაწილებში აღნიშნულ პრივილეგიებსა და იმუნიტეტებთან დაკავშირებული დოკუმენტების შესახებ:

- (1) პროექტთან დაკავშირებული ყველა ქაღალდი და დოკუმენტი, რომელიც იმყოფება ზემოთ აღნიშნულ 4(ა) ქვე-პარაგრაფში მოხსენიებული პიროვნებების შესრულებულობაში ან მათი კონტროლის ქვეშ,

ჩაითვლება გაეროს, შესაბამისი სპეციალიზებული
სააგენტოს ან IAEA-ს კუთვნილებად; და

- (2) ამ პირების მიერ პროექტის შიზნებისათვის ქვეყნაში
იმპორტირებული, ნაყიდი ან იჯარით აღებული
მოწყობილობა, მასალები და აღჭურვილობა ჩაითვლება
გაეროს, შესაბამისი სპეციალიზებული სააგენტოს ან
IAEA-ს კუთვნილებად.

5. გამოთქმა „მოქმედი პირები“, იმ სახით როგორც იგი გამოყენებულია ამ
ხელშეკრულების IX, X, და XIII მუხლებში, მოიცავს ტექნიკურ ექსპერტებს,
მოხალისეებს, კონსულტანტებს, აგრეთვე იურიდიულ და ფიზიკურ პირებს და
მათ მიერ სამუშაოზე აყვანილ პირებს. იგი მოიცავს იმ სამთავრობო და
არა-სამთავრობო ორგანიზაციებსა თუ ფირმებს, რომლებიც შესაძლოა UNDP-მ
მოიწვიოს აღმასრულებელი ორგანოს ან სხვა სახით, რათა შეასრულოს ან
ხელი შეუწყოს პროექტისათვის UNDP-ის დამარებას, აგრეთვე მათ
თანამშრომლებს. არც ერთი ნაწილი ამ ხელშეკრულებისა არ შეიძლება
გაგებულ იქნას იმგვარად, რომ შეიზღუდოს ამ ორგანიზაციებისა თუ
ფირმებისათვის ან მათი თანამშრომლებისათვის რომელიმე სხვა დოკუმენტით
მინიჭებული პრივილეგიები, იმუნიტეტები ან შეღავათები.

მუხლი X

UNDP-ს დახმარებისათვის გათვალისწინებული შედეგები

1. მთავრობა შიიღებს ყველა საჭირო ზომას, რათა გაათავისუფლოს UNDP,
მისი აღმასრულებელი ორგანოები, მათი ექსპერტები და მათი სახელით მოქმედი
სხვა პირები, წესებით გათვალისწინებული და სხვა იურიდიული
ვალდებულებებისაგან, რომელთაც შეუძლიათ ამ ხელშეკრულებით
გათვალისწინებულ საქმიანობაში ხელის შეშლა და მიანიჭებს მათ სხვა მსგავს
შეღავათებს, რომლებიც საჭირო იქნება UNDP-ს დამარების სწრაფი და
ეფექტური განხორციელებისათვის. კერძოდ, იგი მათ მიანიჭებს შემდეგ
შეღავათებსა და შეღავათებს:

- (ა) სწრაფ ქლირენსს ექსპერტთათვის და UNDP-ს ან აღმასრულებელი
ორგანოს სახელით მოქმედი პირები;
- (ბ) საჭირო ვიზების, ლიცენზიებისა, და ნებართვების სწრაფ და უფასო
გაცემას;
- (გ) სამუშაო აღგილზე მისვლას და გადააღგილების ყველა აუცილებელ
შუალებას;

(დ) ქვეყანამდე და ქვეყნიდან, აგრეთვე მის ფარგლებს შეინით თავისუფალ გადააღგილებას UNDP-ს დახმარების სათანადო განხორციელებისათვის საჭირო ფარგლებში;

(ე) ვალუტის გადაცვლის ჰყელაზე ხელსაყრელ ოფიციალურ კურსს;

(ვ) მოწყობილობის, მასალებისა და აღჭურვილობის ქვეყანაში შემოტანისა და შემდგომში მათი გატანისათვის აუცილებელ ნებისმიერ ნებართვას;

(ზ) UNDP-ს, მისი აღმასრულებელი ორგანოების თანამშრომლების ან მათი სახელით მოქმედი სხვა პირების კუთვნილი ან მათ მიერ პირადი გამოყენებისა თუ მოხმარების საგნების ქვეყანაში შემოტანისათვის აუცილებელ ნებისმიერ ნებართვას;

(თ) (ვ) და (ზ) პარაგრაფებში აღნიშნული ნივთების საბაჟოდან სწრაფ განთავისუფლებას.

2. რადგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დახმარება განკუთვნილია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და ხალხისათვის, მთავრობა თავის თავზე იღებს ჰყელა რისკს ამ ხელშეკრულების ფარგლებში ჩატარებული ქმედებებისათვის; იგი პასუხს აღებს UNDP-ს ან აღმასრულებელი ორგანოს, აგრეთვე მათი თანამშრომლებისა და მათი სახელით მოქმედი პირების წინააღმდეგ მესამე მხარის მიერ აღმრული პრეტენზიების მოგვარებაზე და დაიცავს მათ პრეტენზიებისა და ვალდებულებებისაგან ამ ხელშეკრულების ფარგლებში ჩატარებული ქმედებებისათვის. ეს უკანასკნელი პირობა არ მოქმედებს, როცა მხარეები და აღმასრულებელი ორგანო შეთანხმდებიან, რომ პრეტენზის ან ვალდებულების მიზეზია ზემოთ აღნიშნული პიროვნებების მხრიდან უხეში უპასუხისმგებლობა ან შეგნებული უწესო საჭიროლი.

გუნდი XI

დახმარების შეჩრდა და უფლებები

1. UNDP-ს შეუძლია წერილობით შეატყობინოს მთავრობას ან შესაბამის აღმასრულებელ ორგანოს ნებისმიერ პროექტისათვის მისი დახმარების შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ UNDP-ს აზრით, წარმოიშვება რაიმე გარემოება, რომელიც ხელს შეუშლის ან შეძლებს, ხელი შეუშალოს პროექტის წარმატებით დასრულებას ან მისი მიზნების განხორციელებას. იგივე ან შემდგომ წერილობით შეტყობინებაში UNDP-ს შეუძლია მიუთითოს იმ გარემოებების შესახებ, რომელთა გამო იგი მზადაა, დახმარება შეუწყვეტოს პროექტს. მსგავსი შეყოვნება გაგრძელდება მანამ, სანამ მთავრობა არ დაეთანხმება ამ პირობებს და სანამ UNDP არ გაუგზავნის მთავრობასა და

აღმასრულებელ ორგანოს წერილობით შეტყობინებას, რომ იგი მზადაა,
განაახლოს დახმარება.

2. იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულების 1 პარაგრაფში აღნიშნული ნებისმიერი სიტუაცია გაგრძელდება 14 დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც UNDP გაუგზავნის ცნობას დახმარების შესახებ მთავრობას ან აღმასრულებელ ორგანოს, მაშინ ამ მომენტიდან ნებისმიერ დროს შეჩერების განმავლობაში UNDP-ს შეუძლია წერილობით ამცნოს მთავრობას ან აღმასრულებელ ორგანოს პროექტისათვის დახმარების შეწყვეტის შესახებ.

3. ამ მუხლში მოცემული პირობები არანაირად არ შელახავს რომელიმე სხვა უფლებას ან კომპენსაციას, რომელიც შეიძლება გააჩნდეს UNDP-ს კონკრეტულ გარემოებაში, კანონის საერთო პრინციპებისა თუ რაიმე სხვა სახით.

მუხლი XII

უთანხმოვათა გადაწყვეტა

1. ნებისმიერი უთანხმოვება UNDP-სა და მთავრობას შორის, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ან დაკავშირებული იყოს ამ ხელშეკრულებასთან და რომელიც არ მოგვარდება მოლაპარაკებების გზით ან რეგულირების სხვა შეთანხმებული საშუალებით, გადაიცემა არბიტრაჟზე რომელიმე მხარის მოთხოვნით, თითოეული მხარე ნიშნების თითო არბიტრს და ამგვარად დანიშნული ორი არბიტრი ნიშნავს მესამეს; რომელიც იქნება თავმჯდომარე. უკანასკნელი მოთხოვნილი უკრაათი დღის განმავლობაში რომელიმე მხარე არ განიშნავს არბიტრს ან, თუ ორი არბიტრის დანიშვნიდან თხუთმეტი დღის განმავლობაში არ დაინიშნება მესამე არბიტრი, ორივე მხარეს შეუძლია სთხოვოს არბიტრის დანიშვნა საერთაშორისო სასამართლოს პრეზიდენტს. არბიტრაჟის პროცედურას დაადგენენ არბიტრები, ხოლო მათ მიერ დადგენილ არბიტრაჟის ხარჯებს იხდიან მხარეები. არბიტრაჟის დასკვნაში უნდა იყოს მიზეზთა ნუსხა, რომლის საფუძველზეც არის გამოტანილი ეს დასკვნა და იგი მხარეებმა უნდა მიიღონ, როგორც დავის საბოლოო გადაწყვეტა.

2. ნებისმიერი დავა მთავრობასა და ტექნიკურ ექსპერტს შორის, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ან დაკავშირებული იყოს მთავრობაზე მისი სამხარულოს პირობებთან, შეიძლება მთავრობამ ან ტექნიკურმა ექსპერტმა განსახილველად გადასცეს იმ აღმასრულებელ ორგანოს, რომელიც გზავნის ტექნიკურ ექსპერტს, ხოლო შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოს დახმარებით ისინი ჩავლენ განხილვაზე დასასწრებად. თუ დავის გადაწყვეტა არ მოხერხდება, როგორც ეს აღნიშნულია წინა წინადადებაში, რომელიმე მხარის მოთხოვნით საქმე შეიძლება გადაეცეს არბიტრაჟს ისევე, როგორც ეს აღნიშნულია ამ მუხლის 1 პარაგრაფში გარდა იმ შემთხვევისა, როცა რომელიმე მხარე არ დანიშნავს

არბიტრს ან, როცა მხარეთა არბიტრებს დანიშნავს მუდმივი საარბიტრაჟო სასამართლოს გენერალური მდივანი.

მუხლი XIII

ზოგადი პირობები

- ეს ხელშეკრულება (ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და) (უნდა რატიფიცირებულ იქნას მთავრობის მიერ და შევა ძალაში მას შემდეგ, რაც UNDP მთავრობისაგან მიიღებს შეტყობინებას მისი რატიფიციის შესახებ. რატიფიკაციის მოლოდინში მას დროებითი ძალა აქვს მინიჭებული მხარეების მიერ.) იგი ძალაშია მის შეწყვეტიადე, როგორც ეს მოცემულია მე-3 პარაგრაფში ქვევით. ეს ხელშეკრულება ძალაში შესვლისთანავე ფარავს ყველა არსებულ შეთანხმებას. UNDP-ს რესურსებიდან მთავრობისათვის დახმარების გაწევისა და UNDP-ს ოფისის შესახებ და ეხება მთავრობისა და ქვეყანაში არსებული UNDP-ს ოფისისათვის გაწეულ ყველა სახის დახმარებას იმ ხელშეკრულებათა პირობებით, რომლებიც გადაფარა ამ ხელშეკრულებას.
- ეს ხელშეკრულება შეიძლება შეიცვალოს მხარეებს შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. ნებისმიერი საკითხი, რომელიც შეთანხმების არც ერთ პირობაში არ თავსდება, მხარეების მიერ მოვარდება გაეროს შესაბამისი ორგანოების გადაწყვეტილებებისა და რეზოლუციების მიხედვით. ამ პუნქტთან დაგვშირებით ორივე მხარე სრული და გულისხმიერი ყურადღებით შეიკიდება მეორე მხარის მიერ გამოთქმულ ნაბისმიერ წინადადებას.
- ეს ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ნებისმიერი მხარის მიერ მეორისადმი გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე და შეწყდება ამ შეტყობინების მიღებიდან სამოკიდის დღის შემდეგ.
- ამ ხელშეკრულების IV (ინფორმაციი პროექტის შესახებ) და VIII (დახმარების გამოყენების შესახებ) მუხლების მიხედვით მხარეების მიერ აღებული ვალდებულებები გრძელდება ხელშეკრულების ვადის გასვლის ან შეწყვეტის შემდეგ. მთავრობის მიერ IX (პრივილეგიებისა და იმუნიტეტის შესახებ), X (პროექტის შესრულებისათვის გათვალისწინებული შეღავათების შესახებ) და XII (დავების გადაწყვეტის შესახებ) მუხლების მიხედვით აღებული ვალდებულებები გრძელდება. ამ ხელშეკრულების ვადის გასვლის ან შეწყვეტის შემდეგ იმ დროის განმავლობაში, რომელიც UNDP-ისა და აღმასრულებელი ორგანოს პერსონალის, ფონდებისა და საკუთრების, ან ამ ხელშეკრულების მიხედვით მათი სახელით მოქმედი ნებისმიერი პირების გასაფანად.

ამის დასტურად ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, გაერთიანებული ორგანიზაციის განვითარების პროგრამისა და მთავრობის წარმომადგენლები შესაბამისი მხარეების სახელით, ხელს ვაწერთ ამ შეთანხმებას ინკლისურ და ქართულ ენებზე ორ ეგზემპლარად ამა წლის 01 ივნისი 1994 წ.

გაეროს განვითარების პროგრამის
სახელით

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელით

M. Rebaia

R. Shengiani